„თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“

აჭარის რეგიონის ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის გააქტიურებისა და თვითმმართველობაში ჩართულობის ამაღლებისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ შვედეთის განვითარების სააგენტოსა (სიდა) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის.“

საინფორმაციო ჯიხურები საბოლოდ თემებში

პროექტის მიზანია აჭარის რეგიონის ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების თემების მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება თვითმმართველობის პროცესებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და თემების მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მუნიციპალური ბიუჯეტების თემების მოსახლეობის რეალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე ორიენტაციის ხარისხის ამაღლება.

პროექტის „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ ფარგლებში „ინტელექტი“ ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების თემებში ჩაატარებს პრობლემების კვლევას, საგანმანათლებლო შეხვედრებს, შეიმუშავებს საბიუჯეტო პროგრამებს და ჩამოაყალიბებს საინიციატივო ჯგუფებს, რომლებშიც თემის აქტიური მოსახლეობა იქნება გაერთიანებული. ამჟამად ზემოთ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო შეხვედრები მიმდინარეობს. შეხვედრებზე ადგილობრივი მცხოვრებლები საინიციატივო ჯგუფის წევრებს ირჩევენ, რომლებიც სამომავლოდ აქტიურად იქნებიან ჩართული თვითმმართველობაში.

რისი უფლება აქვს მოქალაქეს?

– მოსთხოვოს თემის დეპუტატს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშით წარდგენა;

– გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია (ნებისმიერი ინფორმაცია საჯაროა თუ მას არ ადევს გრიფი „სახელმწიფო საიდუმლო“ და არ შეიცავს პერსონალურ ინფორმაციას);

– დაესწროს საკრებულოს სხდომებს, თავის მხრივ, საკრებულოს აქვს ვალდებულება ერთი კვირით აღრე საჯარო გახადოს ინფორმაცია სხდომის ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ;

– ამომრჩეველთა 1%-ს აქვს უფლება მოინვიოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა;

– ჩაერთოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში;

– მოახდინოს პეტიციის წესით საკითხის ინიცირება.

თვითმმართველობის კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების თანახმად დასახლებებში საერთო კრებები, ხოლო მუნიციპალიტეტების გამგეობებთან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოები უნდა ჩამოყალიბდეს. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ წარმომადგენელი და პროექტის „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ კოორდინატორი მარინე პაპუნიძე აღნიშნულ ცვლილებებს დადებითად აფასებს და იმედოვნებს, რომ მოსახლეობის თვითმმართველობაში ჩართულობის ხარისხი გაიზრდება: „არ მინდა დავუკარგო ცალკეულ აქტიურ პირებს კონკრეტული პრობლემების მოგვარების მცდელობები, თუმცა თუ ვიმსჯელებთ მთლიანად მოსახლეობის აქტიურობაზე და თვალს გადავავლებთ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმებს, ნამდვილად ძალიან დაბალია მოსახლეობის ჩართულობის დონე. მოსახლეობას მინიმუმ შეუძლია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა, მაგრამ სამწუხაროდ მსგავსი ფაქტები ცოტაა.

დასახლების საერთო კრებისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ჩამოყალიბება დემოკრატიისკენ გადადგმული ნაბიჯია. ცვლილების თანახმად, საერთო კრებას ენიჭება უფლებამოსილება განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მომზადოს შესაბამისი წინადადებები, ხოლო თავის მხრივ მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან, განიხილონ საერთო კრების გადაწყვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი აცნობონ საერთო კრების შესაბამის წევრს, რაც თვითმმართველობის ორგანოებსა და თემების მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირის, პრაქტიკული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

რაც შეეხება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების არსებობას, შეიძლება ჩვენი შეფასება ოპტიმისტური, თუმცა მიმაჩნია, რომ ამ ცვლილების დადებითი მხარეა მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა. ისინი ყველაზე უკეთ იცნობენ საკუთარი უბნის, სოფლის, ქალაქის პრობლემებსა და საჭიროებებს. გარდა ამისა, მათი ჩართულობა და მონაწილეობა ზრდის მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას და თვითმმართველობისადმი ნდობის ხარისხს. ანუ, საერთო ჯამში, იზრდება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ავტორიტეტი და იმიჯი, ისე მოქალაქეების პასუხისმგებლობა და აქტიურობა.“

თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებებთან დაკავშირებით პროგნოზირება უჭირს, მაგრამ თავისი შინაარსიდან გამომდინარე დადებითად აფასებს იურისტი რამინ გვარიშვილი:

„აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობისა და საზოგადოებრივ საჭიროებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის. საერთო კრება არის დასახლების ორგანიზებული ფორმა, რომელსაც შეუძლია დასახლებისათვის მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული პრობლემების გამოკვეთა და აღნიშნული საკითხების დაყენება მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე, ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს დაყენებულ საკითხებზე პასუხის გაცემა და გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების უშუალო მონაწილეე გახდეს, როგორიც შეიძლება იყოს, მაგალითად, სოფელში განსახორციელებელი სოციალურ-ეკონომიკური ან ინფრასტრუქტურული საკითხები, რაც უშუალოდ სოფლის პრობლემებს ეხება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სოფლებში არსებული მნიშვნელოვანი პრობლემების დროულად და ეფექტურად მოგვარებას.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობას გაზრდის. ცვლილებით განსაზღვრულია, რომ მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში იქნებიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. თუმცა მრჩეველთა საბჭოს ეფექტურობაზე წინასწარ ვერ ვისაუბრებ. თეორიულად ეს ერთმნიშვნელოვნად დადებითია, თუმცა ჯერ არ ვიცი, პრაქტიკაში რა იქნება. ეფფექრობ, თუ კომპეტენტური ადამიანებისგან იქნება დაკომპლექტებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო(ები), ეს იქნება თვითმმართველი ორგანოების მაკონტროლებელი ორგანო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული ცვლილებით განსაზღვრულია გენდერული კვოტირებაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის.“

პროექტი „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ახორციელებს, საქართველოს თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვას უწყობს ხელს. პროექტის მნიშვნელობასა და უპირატესობებზე პროექტის კოორდინატორმა მარინე პაპუნიძემ ისაუბრა: „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის – „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ განხორციელება აჭარის მუნიციპალიტეტებში, სადაც, რამდენადაც გამოცდილებამ გვიჩვენა, ყველაზე დიდ დამაბრკოლებელ ფაქტორს დემოკრატიული პროცესების განვითარებისათვის წარმოადგენს არსებული მენტალიტეტი, რაც გულისხმობს ნიჰილიზმს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების მიმართ. მეორე მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი მოსახლეობის ინფორმირებულობისა და სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონეა. აღნიშნული შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევა შესაძლებელია ფართომასშტაბიანი საგანმანათლებლო კამპანიების ჩატარებითა და მოსახლეობის ინტერესების ადვოკატირებით. რეალური შედეგის მისაღებად აუცილებელია, კრიტიკულად მოაზროვნე მოსახლეობის რაოდენობამ თემებში მიაღწიოს გარკვეულ ზღვარს, რომლის შემდეგაც მოსახლეობა თვითონ მოახდენს საკუთარი მოთხოვნებისა და საჭიროებების ადვოკატირებას და აქტიურად ჩაერთვება თვითმმართველობის განხორციელების პროცესში.“

აჭარის რეგიონის ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების სამსამ თემში პროექტის „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ პრეზენტაცია და საინფორმაციო შეხვედრები უკვე გაიმართა. თითოეულ თემში შეხვედრას მაჟორიტარი დეპუტატი და გამგეობის წარმომადგენელი ესწრებოდა. პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობის შემდეგ „ინტელექტის“ წარმომადგენლებმა თემების მოსახლეობას თვითმმართველობის შესახებ ესაუბრნენ და მასში ჩართულობის მექანიზმები გააცნეს.

„ვფიქრობ, პერსპექტიული პროექტია „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“. აუცილებელია მოსახლეობის ჩართულობა როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე ამა თუ იმ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებაში. ორთაბათუმელების (თემი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში) თვითმმართველობაში ჩართულობა საინტერესო იქნება. დარწმუნებული ვარ, მათგან საღი აზრი იქნება მოწოდებული. ეს პროექტი დაგვეხმარება, რომ ჩამოყალიბდეს თემში საერთო კრებები, რომელშიც მოსახლეობა აქტიურად ჩაერთვება, პრიორიტეტების რანჟირება თავად გააკეთებენ და როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშიც შესაბამისად აისახება, დაინახავენ რა ძალა აქვს მოსახლეობასა და ამომრჩეველს,“ – ასე შეაფასა პროექტი „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ გაცნობის შემდეგ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ორთაბათუმის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა როსტომ ფაღლავამ და დასძინა: „მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ვართ გაჭირვებული ქვეყნის გაჭირვებულ ბიუჯეტზე დამოკიდებული.“

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხალის თემის მაჟორიტარი დეპუტატი მალხაზ ლამპარაძე პროექტს „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ დადებითად აფასებს და იმედოვნებს, რომ მომავალი წლისთვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხალის მოსახლეობის ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული: „მოსახლეობას სოფლის კრებებზე მისვლა უჭირს, რადგან ხელისუფლების მიმართ უმეტდოდ არის განწყობილი. რიცა არასამთავრობო სექტორი ერთვება ასეთ პროცესებში, ნდობის ხარისხი იმატებს. დარწმუნებული ვარ, ხალის მოსახლეობა „ინტელექტის“ პროექტის საშუალებით აქტიურად ჩაერთვება თვითმმართველობაში. ვიმედოვნებ, მომავალი წლის ბიუჯეტში ხალის თემის მოსახლეობის ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული.“

„კარგი პირი უჩანს ამ პროექტს და მომავალი გვიჩვენებს რამდენად წარმატებულად განხორციელდება. კარგი იქნება, თვითმმართველობები თუ გაითვალისწინებენ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების სურვილს და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მოსახლეობის საჭიროებებზე იქნება გათვლილი. ჭახათის თემის მცხოვრებლები ყოველთვის აქტიურები იყვნენ და მჯერა მომავალშიც იაქტიურებენ,“ – ირწმუნება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჭახათის მაჟორიტარი დეპუტატი თემურ მოწყობილი.

პროექტში „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ და ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსახლეობის ჩართულობის იმედი აქვთ მუნიციპალიტეტების გამგებლების წარმომადგენლებსაც თემებში, სადაც აღნიშნული პროექტი ხორციელდება. ისინი იმედოვნებენ, რომ აღნიშნული პროექტის საშუალებით დასახლების საერთო კრებებზე მოსახლეობის შეკრების პრობლემა აღარ იქნება.

პროექტის „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ განხორციელებას იმედითა და ინტერესით აღვენებს თვალს იმ თემების მოსახლეობა, რომლებშიც აღნიშნული პროექტი ხორციელდება. „კარგი პროექტი ჩანს, მაგრამ რა შესაძლებლობები გააჩნია, ეს განხორციელების პროცესში გამოჩნდება. საერთო კრებებზე ჩვენი ჩართულობის პრობლემა იმიტომ არის, რომ რწმენა გვაქვს დაკარგული. რა აზრი აქვს პრობლემებზე საუბარს, თუ არავინ გვისმენს? თვითმმართველობამ გზა გაგვიკეთა სოფლებში, მაგრამ დაპირებები ბევრი იყო და ჩვენც მათი დანაპირების აღიკვეტურად ვითხოვეთ სოფლის პრობლემების მოგვარებას.“

ქობულეთისა და ხელვაჩაურის თემების მოსახლეობა თვითმმართველობის კოდექსში შესული იმ ცვლილებითაც დაინტერესდა, რომელიც გამგეობებთან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების შექმნას ითვალისწინებს. მათი აზრით, „ხელფასს თუ გადაუხდიან ამ საბჭოს წევრებს, ხალხთანაც უფრო ახლოს იქნებიან და გამგეობებთანაც. მთავარია, ვინ იქნებიან წევრები, რამდენად აქტიურები და მოსახლეობისთვის რამდენად მისაღები. ვფიქრობთ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები სოფელში კარგი ავტორიტეტით უნდა სარგებლობდნენ, რისკიანებიც უნდა იყვნენ და თუ საჭირო გახდა, „რქებით“ გაიტანონ თავიანთი სიტყვა!“

თემებში – ორთაბათუმი, კირნათი, მახინჯაური (ხელვაჩაურის); ხალა, ჭახათი, ჩაისუბანი (ქობულეთი) – ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ პროექტის „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ ფარგლებში საინიციატივო ჯგუფები ჩამოაყალიბა. ადგილობრივ თვითმმართველობებს საინიციატივო ჯგუფის წევრებმა განცხადებით უკვე მიმართეს დასახლების საერთო კრების ჩატარებისათვის. შემდეგი ეტაპი უკვე საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზება იქნება. აღნიშნული შეხვედრების ჩატარება იგეგმება საერთო კრებების მონვეევის გზით და ამგვარად შეიქმნება მსგავსი კრებების მოწვევისა და ჩატარების პრეცენდენტი აჭარის რეგიონში. პროექტის ფარგლებში, წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიით განხორციელდება აგრეთვე თემების მოსახლეობის მოთხოვნებისა და საჭიროებების კვლევა და მათი რანჟირება. კვლევის შედეგები შემდგომში საფუძვლად დაედება საბიუჯეტო პროგრამების შემუშავებას. საბიუჯეტო პროგრამის შემუშავების შემდეგ საინიციატივო ჯგუფი უზრუნველყოფს პეტიციის მომზადებასა და საკრებულოსთვის წარდგენას. იმედი გვაქვს, საბიუჯეტო პროგრამები ასახვას ჰპოვებს მუნიციპალურ ბიუჯეტში და რაც ყველაზე მთავარია, პროექტის საქმიანობები არ იქნება ერთჯერადი და ფორმალური ხასიათის და მოსახლეობა დაინახავს პრობლემის იდენტიფიცირებიდან მოგვარებამდე გასავლელ რეალურ გზას.

თეონა კაკაციძე

გვერდი მომზადებულია პროექტის „თემები დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ შვედეთის განვითარების სააგენტოსა (სიდა) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ფინანსური მხარდაჭერით.
ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს შვედეთის განვითარების სააგენტოსა (სიდა) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ოფიციალურ პოზიციას.

იყავი აქტიური! ჩაერთე შენი სოფლის პრობლემების გადაწყვეტის პროცესში!